ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 603-11 23 05 2011წ.

დადგენილება №000693
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

23.05.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2011 წლის 18 მარტის №000693 მითითება, 2011 წლის 28 მარტის №000693 შემოწმების აქტი და 2011 წლის 11 მაისის მოხსენებითი ბარათი შედგენილი შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს (მის.: ქ. თბილისი, აბაშიძის ქ. №73) მიმართ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. №73-ში შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2038 10.09.2010წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ავტოსადგომში -6.00 ნიშნულზე "ბ-ე" მონაკვეთში "5-5" ღერძზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რითაც შექმნილია დამატებითი ფართი, ხოლო "2-2" ღერძზე "თ-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია ერთი კოლონა და კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რითაც შექმნილია დამატებითი ფართი. "ბ-ბ" ღერძზე "2-6" მონაკვეთში 0.20მ-ით გადაწეულია კოლონის გარეთ, რითაც მომატებულია ადგილი. ავტოსადგომში -3.30 ნიშნულზე "3-3" და "კ-კ" ღერძების გადაკვეთაზე გაუქმებულია ერთი კოლონა. "1-1" და "6-6" ღერძებზე პროექტით ნაჩვენები კედლები შემცირებულია დაახლოებით 0.4მ-ით. ანტრესოლზე +3.30 ნიშნულზე "5-6" და "ე-ზ" მონაკვეთებში "ზ-ზ" ღერძზე დამატებულით მოწყობილია ფილა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2011 წლის 18 მარტს შედგენილი იქნა მითითება №000693 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 18 მარტს), რომლითაც

განესაზღვრა 7 (შვიდი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2011 წლის 28 მარტს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000693 (მხარეს ჩაბარდა 2011 წლის 1 აპრილს), რომელშიც დაფიქსირდა შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს მიერ მითითებით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის დ. დათიაშვილის მიერ 2011 წლის 1 აპრილს შედგენილი მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წერილით (№08/30546-16 28.03.2011წ.), ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ეცნობა, რომ 2011 წლის 25 მარტს №12/30321-13 განცხადებით, შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენმა", სამსახურს მიმართა ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №73-ში მდებარე ობიექტის ლეგალიზების მოთხოვნით. აღნიშნული გარემოება უცნობი იყო 2011 წლის 28 მარტის №000693 შემოწმების აქტის შედგენის მომენტისათვის. "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლეგალიზების შესახებ წარმოების დაწყებიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, შეჩერებულ იქნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2011 წლის 18 მარტს გაცემული №000693 მითითებით განსაზღვრული ვადის დინება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის დ. დათიაშვილის მიერ 2011 წლის 11 მაისს შედგენილი მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით №1230 06.04.2011წ. შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენს" უარი ეთქვა ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №73-ში პროექტის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობის ნაწილების ლეგალიზებაზე (შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს წარმომადგენელს ბრძანება ჩაბარდა 2011 წლის 10 მაისს). ამასთანავე, დღეისმდგომარეობით შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს მიერ ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №73-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა არ არის მოყვანილი ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2038 10.09.2010წ. ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში. შესაბამისად, არ არის შესრულებული, სამსახურის 2011 წლის 18 მარტის №000693 მითითების პირობები.

2011 წლის 23 მაისს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე გამოცხადნენ შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს წარმომადგენლები ლევან გოჩაშვილი (პირადი №01005012836) და მოქ. ალექსანდრე ქამუშაძე (პირადი №01030028695). საქმეშია, მინდობილობა, გაცემული შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს დირექტორის რამაზ მოსაშვილის მიერ 04.05.2011წ. მათ დაადასტურეს მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება, მათზე აღნიშნულ თარიღებში. მათვე განაცხადეს, რომ აპირებენ ლეგალიზებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებას და ვიდრე მიღებული გადაწყვეტილება არ იქნება შესული კანონიერ ძალაში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში მიმდინარე წარმოება უნდა შეჩერდეს. მათივე განცხადებით, დარღვევების გამოსწორება მოხდება მას შემდგომ, თუკი ლეგალიზებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება, გასაჩივრების შემდგომ შევა კანონიერ ძალაში. წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლეგალიზებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, დარღვევების სირთულისა და მათი სიმრავლიდან

გამომდინარე, მათი გამოსწორებისათვის უნდა განისაზღვროს გონივრული ვადა. შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მშენებლობის სანებართვო მოწმობას არ აქვს გასული ვადა, მზიდი კონსტრუქციების მოწყობის გარდა პროექტში არ არის მითითებული მშენებლობის ეტაპები. შესაბამისად, ვიდრე არ არის გასული მშენებლობის ნებართვაზე მშენებლობის ვადა, მზიდი კონსტრუქციების გარდა, ობიექტზე არსებული სხვა დარღვევები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამშენებლო სამართალდარღვევებად. შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს წარმომადგენლებმა, ასევე აღნიშნეს, რომ დღეისმდგომარეობით მითითებით დაფიქსირებული დარღვევები არ არის გამოსწორებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. №73-ში შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2038 10.09.2010წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ, ავტოსადგომში -6.00 ნიშნულზე "ბ-ე" მონაკვეთში "5-5" ღერძზე კედლის მონაცვლებული აქვს ადგილი, რითაც შექმნილია დამატებითი ფართი, ხოლო "2-2" ღერძზე "თ-ბ" მონაკვეთში გაუქმებულია ერთი კოლონა და კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რითაც შექმნილია დამატებითი ფართი. "ბ-ბ" ღერძზე "2-6" მონაკვეთში 0.20მ-ით გადაწეულია კოლონის გარეთ, რითაც მომატებულია ადგილი. ავტოსადგომში -3.30 ნიშნულზე "3-3" და "კ-კ" ღერძების გადაკვეთაზე გაუქმებულია ერთი კოლონა. "1-1" და "6-6" ღერძებზე პროექტით ნაჩვენები კედლები შემცირებულია დაახლოებით 0.4მ-ით. ანტრესოლზე +3.30 ნიშნულზე "5-6" და "ე-ზ " მონაკვეთში "ზ-ზ" ღერძზე დამატებულით მოწყობილია ფილა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "აგ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "იბერია კონსტრაქშენი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 117

თარიღი: 2011 წლის 29 09, ხუთშაბათი

GEL

GEL

4000.00

თანხა სიტყვიერად

ოთხი ათასი GEL და 00

გადამხდელის დასახელება: შპს "იბერია კონსტრაქშენ"

ანგარიში (დებეტი): 360517649GEL

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: 300773263 თბილისი - შემოსავალი საწარმოებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიან

ბანკის აღნიშვნები

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

საიდენტიფიკაციო კოდი:

ანგარიში (კრედიტი): 200122900

ბანკში შემოსვლის თარიღი: 29.09.2011

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილება #000693 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მშ. ობიექტის მის. ქ. თბილისი, აბაშიძის ქ.#73

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
შპს "იბერია კონსტრაქშენ"

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან